საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარნეულის ვაკე

მარნეულის ვაკე, ბორჩალოს ვაკე, აკუმულაციური ვაკე აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს მდ-ების – ალგეთის, ხრამის, მაშავრისა და დებედის ქვემო დინებათა აუზებს. ვაკის სიგრძეა 40 კმ, უდიდესი სიგანე – 20 კმ, სიმაღლე ზ. დ. 270 მ-იდან 400 მ-მდე. მ. ვ-ს ჩრდ-ით ესაზღვრება იაღლუჯის მაღლობი, სამხრ-ით – ლოქის ქედი და ბაბაკარის სერი, აღმ-ით – მდ. მტკვარი, დას-ით საზღვარი მიუყვება მაშავრის ხეობას ბოლნისამდე. აგებულია ძირითადად მეოთხეული ალუვიური ნალექებით – ქვიშებით, თიხებით, კენჭნარით, კონგლომერატებით. მდინარეთა სანაპიროზე თანამედროვე ალუვიური ნალექებია – კენჭნარი, ქვიშნარი. ვაკის ზედაპირი ბრტყელია. მთავარ მდინარეთა ტერასების ამგებ თაბაშირიან თიხებში წარმოქმნილია სუფოზიური ძაბრები, ჭები, ბუნებრივი ხიდები და სხვ.

მ. ვ-ზე მშრალი სუბტროპ., ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა. იცის ცხელი ზაფხული, ნალექების ორი მინიმუმით. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 12 ^{0}C, იანვრ.– 0^{0}–0,3^{0} C, ივლ. – 23,9^{0} C, აბსოლ. მინ.–25^{0} C, აბსოლ. მაქს.– 40^{0} C. ნალექები 490–550 მმ წელიწადში. ვაკეზე მიედინება მდ-ები: ალგეთი, ხრამი, მაშავერა, დებედა, შულავერი (ხრამის მარჯვ. შენაკადი), ტალავრისწყალი, ბოლნისისწყალი (მაშავრის მარჯვ. შენაკადი). ვაკეზე განვითარებულია წაბლა, აგრეთვე დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები. ბუნებრივ მცენარეულ საფარში ჭარბობს ურეოიან-ავშნიანი და ურეოიან-ჯაგეკლიანი მცენარეები, ზოგან – მლაშობი ნახევარუდაბნოს მცენარეულობით. მდინარეთა სანაპიროებზე შემორჩენილია ტუგაის ტყის ფრაგმენტები. მ. ვ-ის უდიდესი ნაწილი ამჟამად კულტურულ ლანდშაფტს უჭირავს.

დ. უკლება